სამართლიანობის აღდგენის ბუნდოვანი პერსპექტივები

საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის საქმიანობის შეფასება

2021

ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: ლაზარე ჯიბლაძე

რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი

ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 4

დეპარტამენტის საქმიანობა – სტატისტიკა 6

საქართველოს გენერალური პროკურატურის სტრატეგიისა და გეგმის შეფასება ახალი დეპარტამენტის საქმიანობის ჭრილში 7

საქმეთა წარმოებაში მიღების კრიტერიუმთა ბუნდოვანება 10

პროკურორის დადგენილების გამოყენების ტენდენციები წლების მიხედვით 10

იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება 12

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არსებული საქმეები 14

1.დავით ადეიშვილის საქმე 15

2.ბაკურ კიღურაძის საქმე 16

3.ვახტანგ მაისაიას საქმე 17

4.ე. წ. ყინწვისის საქმე 18

დასკვნა 21

რეკომენდაციები 22

შესავალი

2012 წლამდე საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებსა და პოლიციის განყოფილებებში ადამიანთა წამება, არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობა, საკუთრების იძულებით დათმობა და მისი უკანონო ჩამორთმევა, წლების განმავლობაში, სისტემურ პრობლემას და ქვეყნის მართვის სტილს წარმოადგენდა[1].

2012 წელს, საპარლამენტო არჩევნების გზით, ხელისუფლებაში მოსული კოალიცია „ქართული ოცნების“ მთავარ საარჩევნო დაპირებებს შორის ერთ-ერთი ძირითადი, რამაც ასევე დიდწილად განსაზღვრა იმდროინდელი არჩევნების შედეგები, იყო ე.წ. სამართლიანობის აღდგენა, სამართალდამცავთა მიერ დანაშაულების ჩადენის აღკვეთა, უკანონო თვალთვალისა და მიყურადების პრაქტიკის დასრულება და ა.შ.

აქედან გამომდინარე, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, 2012 წლამდე ჩადენილი მსგავსი დანაშაულების გამოძიების მოთხოვნით, მოქალაქეებმა ათიათასობით საჩივარი შეიტანეს სხვადასხვა უწყებაში, მათ შორის - პროკურატურის ორგანოებში, საქართველოს პარლამენტში, შსს-ში და სხვა სახელმწიფო უწყებებში. განმცხადებლები, ძირითადად, დარღვეული უფლების აღდგენას, დამნაშავეთა დასჯასა და წართმეული ქონების დაბრუნებას მოითხოვდნენ.

მართლმსაჯულების ხარვეზების აღმოფხვრის მექანიზმის საჭიროებაზე, გარდა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა[2], ღიად საუბრობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები და ექსპერტებიც. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდგომ, ხელისუფლებაში მოსული ძალისთვის „კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენის“ ერთ–ერთ მთავარ მექანიზმად მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი დროებითი სამთავრობო კომისიის შექმნა განიხილებოდა. უამრავი დაზარალებულისთვის სწორედ ეს იქცა იმედად, რომ კომისიის შექმნით შესაძლებელი გახდებოდა მათი საქმეების მიუკერძოებელი გამოძიება და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობა. ამის მიუხედავად, წლების განმავლობაში დაპირება მხოლოდ დაპირებად რჩებოდა, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა კი ჭიანურდებოდა. საბოლოოდ, კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ უარი განაცხადა ამ კომისიის შექმნაზე იმ მოტივით, რომ სახელმწიფო ვერ შეძლებდა დაზარალებულთათვის დიდძალი კომპენსაციების გადახდას. თუმცა, პროცესის გაჭიანურების გამო, საზოგადოების ნაწილში გაჩენილი პროტესტის საპასუხოდ, ხელისუფლება გამოვიდა ინიციატივით, საქართველოს პროკურატურის სისტემაში შექმნილიყო პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი.

დეპარტამენტის შექმნა მაშინდელმა პრემიერმა - ირაკლი ღარიბაშვილმა 2014 წლის დეკემბერში დააანონსა. განცხადებაში[3] მან აღნიშნა, რომ დასრულდა ბოლო ორი წლის განმავლობაში პროკურატურაში ოფიციალურად შესულ განცხადებათა განხილვა უკანონოდ ჩამორთმეული სხვადასხვა სახის ქონებისა და იმ ადამიანების საჩივრების, რომლებიც უკანონოდ იხდიდნენ სასჯელს ციხეებში ან წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლნი იყვნენ. პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფდა ზარალის დათვლასა

---

[1] იხ: საქართველოს პენიტენციურ სისტემაში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკის კვლევა (2003-12 წწ): http://www.osgf.ge/files/2014/publications/OSGF_Report_GEO_PRINT.pdf

[2] იხ. კოალიცია "დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" 2015 წლის 4 მარტის განცხადება: https://idfi.ge/ge/statement-on-the-initiative-to-investigate-crimes-committed-in-the-process-of-administration-of-justice

[3] იხ. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება: http://www.tabula.ge/ge/story/91217-premieri-prokuraturashi-qonebis-dasabruneblad-departamenti-sheiqmneba

და მის შემდგომ კომპენსირებას.

2015 წლის 30 იანვარს, საქართველოს მთავრობის განკარგულებით[4], საქართველოს მთავარ პროკურატურაში ახალი სტრუქტურული დანაყოფი – სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი შეიქმნა. მიუხედავად ამისა, დეპარტამენტის ფუნქციონირება, არასაკმარისი სამართლებრივი ბერკეტების გათვალისწინებით, მხოლოდ 2016 წლის ივნისში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების[5] შემდგომ გახდა შესაძლებელი.

მიუხედავად საზოგადოების ნაწილსა და უფლებადამცველებში დეპარტამენტის შექმნით გამოწვეული ენთუზიაზმისა და პოზიტიური მოლოდინებისა, მალევე, ნათელი გახდა, რომ დეპარტამენტის საქმიანობა ბოლომდე ვერ პასუხობდა საზოგადოებაში გაჩენილ მოლოდინებს და მისი შექმნის მიზანს - „სამართლიანობისა და კანონიერების“ აღდგენას ყველა უფლებადარღვეული ადამიანისთვის.

დეპარტამენტის საქმიანობის ირგვლივ, საზოგადოებაში გაჩენილი კითხვების, ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის დაზარალებულთა მომართვიანობის გაზრდისა და, ზოგადად, დეპარტამენტის საქმიანობის შეფასების მიზნით, 2017- 2018 წლებში, ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა განახორციელა დეპარტამენტის საქმიანობის მონიტორინგი, 2018 წელს კი საზოგადოებას წარუდგინა კვლევა - „მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის საქმიანობის მონიტორინგი“[6]. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, არსებული საკანონმდებლო თუ პრაქტიკული ხარვეზების გამოვლენით, სასამართლო გადაწყვეტილებათა ანალიზითა და პროცესების მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა შეიმუშავა რეკომენდაციები მთავარი პროკურატურის (შემდგომში - გენერალური პროკურატურის), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სააპელაციო სასამართლოებისთვის, რომელთა გათვალისწინებით, „სამართლიანობისა და კანონიერების“ აღდგენის პროცესი უფრო განჭვრეტადი, ხელშესახები და ეფექტიანი უნდა გამხდარიყო.

დეპარტამენტი დღემდე ფუნქციონირებს, მაგრამ მის მიმართ საზოგადოების ნაწილში არსებული კითხვები კვლავ უპასუხოა, ხოლო დარღვეული უფლების აღდგენის მოლოდინში მყოფი ადამიანების იმედები - სულ უფრო ბუნდოვანი.

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტის მიზანია, ერთი მხრივ, შეაჯამოს ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2018 წლის კვლევის შედეგები, გამოავლინოს თუ რამდენად იქნა გათვალისწინებული ამ კვლევის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები, ხოლო, მეორე მხრივ, დღეს არსებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შეაფასოს დეპარტამენტის მუშაობის ეფექტიანობა. გარდა ამისა, შეაფასოს დეპარტამენტის საქმიანობა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არსებული ძველი და მიმდინარე საქმეების ანალიზის შედეგად და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გამოავლინოს კვლავ არსებული ხარვეზები და

---

[4] იხ. საქართველოს მთავრობის 2015 წ. 30 იანვრის განკარგულება: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2724425

[5] 2016 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით, სსსკ 310-ე მუხლს დაემატა „ზ“პრიმა ქვეპუნქტი, რითიც არსებითად გაიზარდა დეპარტამენტის როლი და სამართალწარმოებისას დარღვეული უფლებების აღდგენა რეალური გახდა - პროკურორის მიერ მიღებულ დადგენილებაზე დაყრდნობით. კერძოდ, პროკურატურა აღიჭურვა უფლებით, მიმართოს სააპელაციო სასამართლოს, რაც შესაძლებელს ხდის კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვას.

[6] იხ. "მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის საქმიანობის მონიტორინგი", ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2018. http://hridc.org/admin/editor/uploads/files/pdf/hrcrep2018/reaserch-geo.pdf

შეიმუშავოს რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად.

დეპარტამენტის საქმიანობა - სტატისტიკა

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად[7], 2012 წლის 1 ოქტომბრიდან, 2015 წლის 1 იანვრამდე საქართველოს პროკურატურაში სულ 52 530 საჩივარი/განცხადება შევიდა, რომლებშიც განმცხადებელები საჯარო მოხელეთა მხრიდან მათი ან მათი ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებულ უკანონო ქმედებებზე მიუთითებდნენ. აქედან 10 379 განცხადების შემთხვევაში მოთხოვნილ იქნა კონკრეტულ ფაქტებზე გამოძიების დაწყება. მითითებული 10 379 განცხადებიდან კი 3495 შეეხებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა და სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს, 697 ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტებს ხოლო 6187 მიეკუთვნებოდა სხვა კატეგორიას.



2015 წლის 6 მარტს საქართველოს პროკურატურის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის თანახმად[8], **2012 წლის ოქტომბრამდე ჩადენილი დანაშულისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 367 სჯარო მოხელის წინააღმდეგ. გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 147 პირის მიმართ, გამამართლებელი 29 პირის მიმართ, 13 პირი განერიდა სისხლის სამართლებრივ პასუხიმგებლობას. დანარჩენ შემთხვევებთან დაკავშირებით კი, საქმის წარმოება გრძელდება.**

2016 წლის 24 ივნისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა 79 მსჯავრდებულის მიმართ მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე, მათგან 18 იყო პოლიტპატიმრის სტატუსით, 69 პირის მიმართ სასამართლომ გამოიტანა

[7] იხ. საქართველოს პროკურატურიდან IDFI-ის მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია: https://idfi.ge/public/upload/courts/Prosecutors-Office-1313489.pdf

[8] იქვე.

გამამართლებელი განაჩენი, დანარჩენ მსჯავრდებულებზე კი გრძელდება საქმის განხილვა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის სტრატეგიისა და გეგმის შეფასება ახალი დეპარტამენტის საქმიანობის ჭრილში

ბოლო წლებში, პროკურატურის სისტემამ მრავალჯერ განიცადა ცვლილება. პირველად, 2013 წელს ამოქმედებული ცვლილებებით, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია სრულად ჩამოშორდა იუსტიციის მინისტრს და მთავარი პროკურორის ხელში გადაინაცვლა. 2015 წელს გატარებული რეფორმით, მთავარი პროკურორის შერჩევის, დანიშვნისა და გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღების ფუნქცია გადაეცა კოლეგიურ ორგანოს - საპროკურორო საბჭოს. 2016 წელს კი, უწყებაში გაჩნდა საკონსულტაციო საბჭო, რომლის ძირითად მიზნად საქართველოს პროკურატურის მუშაკთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხების განხილვა განისაზღვრა. კონსტიტუციაში შესული ცვლილებებით კი, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს პროკურატურა გამოვიდა აღმასრულებელი ხელისუფლებიდან და დამოუკიდებელ უწყებად ჩამოყალიბდა, შესაბამისად, მთავარი პროკურატურა გენერალურ პროკურატურად გარდაიქმნა[9]. ცხადია, ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობის გაზრდის პარალელურად, გაიზარდა პროკურატურის წინაშე არსებული გამოწვევებიც.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლი სტრატეგიული განვითარების მხარდაჭერას ეთმობა. აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პროკურატურის სისტემის განვითარებისათვის გენერალური პროკურორი ყოველი მომდევნო 6 წლისათვის ამტკიცებს პროკურატურის განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას.

პროკურატურის სტრატეგიული დოკუმენტების შეფასება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ აღნიშნული დოკუმენტებით შეიძლება, შეფასდეს პროკურატურის განვითარების ტენდენციები ახალ რეალობაში. მით უფრო, როცა საქართველოს პროკურატურის სტრატეგიის (2017-2021 წლები) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი სწორედ სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობის გაზრდაა[10].

ანალიტიკური დოკუმენტის ფორმატში, სრულად შეუძლებელია პროკურატურის სტრატეგიული დოკუმენტების დეტალური ანალიზი; თუმცა, ამ შემთხვევაში, ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეორე ამოცანის (ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა) მერვე მიმართულებას, რომელიც სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ეფექტურობის გაზრდას ეხება. მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმა სრულად ვერ პასუხობს ამ მხრივ არსებულ გამოწვევებს და სტრატეგიული დოკუმენტებით გათვალისწინებული ამოცანების მისაღწევად დამატებითი ზომების მიღებას საჭიროებს, მოცემულ შემთხვევაში, გარკვეული დასკვნების გამოტანას მაინც შევეცდებით, გეგმაში უკვე არსებული, ამოცანების მიღწევისთვის საჭირო მიმართულებათა ინდიკატორების შეფასებით.

---

[9] იხ. საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ" (2018), მუხლები: 1-ლი, მე-6, მე-10 და მე-19. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4382740?publication=5

[10] იხ. საქართველოს პროკურატურის სტრატეგია (2017-2021 წლები), ნაწილი 4.8 "სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობის გაზრდა", გვ. 22 http://pog.gov.ge/page/default/prokuraturis-strategia-1

სამოქმედო გეგმის თანახმად, მეორე ამოცანის მერვე მიმართულების (ნაწილი 4.8) შესრულების გასაზომად, ორი ინდიკატორია წარმოდგენილი: 1. სამართალწარმოების პროცესში ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი; 2. სამართალწარმოების პროცესში ჩადენილ დანაშაულებზე მომუშავე პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობა.

ინდიკატორი 1

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით[11]:

- 2016 წელს პროკურატურამ გამოძიება დაიწყო სამართალწარმოების პროცესში სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის 71 შემთხვევაზე, საიდანაც გახსნა 25 საქმე (ქონების იძულებით ჩამორთმევა, ცემა-წამება). მხილებული 13 საჯარო მოხელიდან, სისხლისსამართლებრივი დევნა 4 პირის მიმართ დაიწყო, დანარჩენების მიმართ დისკრეციული უფლებამოსილება იქნა გამოყენებული.
- 2017 წელს, პროკურატურამ იგივე ტიპის 54 სავარაუდო დანაშაულზე დაიწყო გამოძიება და გახსნა 35 საქმე - ქონების იძულებით ჩამორთმევის 20 ფაქტი და ცემა-წამების 15 ფაქტი. მხილებული ცხრა საჯარო მოხელიდან, ექვსი პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.
- 2018 წელს პროკურატურამ გამოძიება დაიწყო სამართალწარმოების პროცესში სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის 38 შემთხვევაზე, საიდანაც გახსნა ქონების იძულებით ჩამორთმევის 24 ფაქტი, მაგრამ სისხლისსამართლებრივი დევნა არცერთზე არ განხორციელებულა.
- 2019 წელს პროკურატურამ გამოძიება დაიწყო სამართალწარმოების პროცესში სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის 79 შემთხვევაზე, საიდანაც გახსნა ქონების იძულებით ჩამორთმევის 80 ფაქტი, საიდანაც სისხლისსამართლებრივი დევნა არცერთზე განხორციელებულა.

წარმოდგენილი ინფორმაციიდან ნათელია, რომ გახსნილი საქმეებისა და მხილებული პირების რაოდენობა პასუხისგებაში მიცემულ პირებზე გაცილებით მაღალია, რაც კითხვას აჩენს, რადგან ამ ტიპის დანაშაულის სუბიექტები სახელმწიფო მოხელეები არიან. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის მიხედვით, მხილებული პირების რაოდენობა აღემატება პასუხისგებაში მიცემული პირების რაოდენობას, რადგან დანარჩენი პირები თანამშრომლობენ გამოძიებასთან, რაც მათდამი დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველი ხდება. შესაბამისად, გაუგებარია, თუ რატომ არ დაიწყო არცერთი პირის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა 2018 და 2019 წლებში. აქედან გამომდინარე, მეორე ამოცანის მერვე მიმართულება ვერ ჩაითვლება სრულყოფილად შესრულებულად.

[11] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 25 ნოემბრის #13/65991 წერილი, ადამიანის უფლებათა ცენტრს.

ინდიკატორი 2

მეორე ინდიკატორი უშუალოდ სამართალწარმოების პროცესში ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით მომუშავე პროკურორების რაოდენობასა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელს განსაზღვრავს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, 2020 წლის 25 ნოემბერს, ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით[12], დღეის მდგომარეობით, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის დეპარტამენტში სულ დასაქმებულია 19 თანამშრომელი: დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, 7 პროკურორი, 6 გამომძიებელი, 3 კოორდინატორი და ერთი მრცეველი. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, იმ დროისათის დეპარტამენტში დასაქმებულ პირთა რაოდენობა 24 იყო[13]. დეპარტამენტის მუშაკებიდან საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ დანიშნული იყო 10 პროკურორი (მათ შორის - დეპარტამენტის უფროსი და დეპარტამენტის უფროსის მოადგილე), 3 განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი, 5 განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი (მათ შორის, 2 პირი შეირჩა შიდა კონკურსით - დისციპლინურ საკითხთა განმხილველი საბჭოს რეკომენდაციით). გაურკვეველია ის მიზეზი, თუ რის გამო მოხდა დეპარტამენტში დასაქმებულ პირთა რაოდენობის შემცირება.

პროკურატურის ინფორმაციით, ახალი დეპარტამენტის საქმიანობის ფარგლებში, მიმდინარეობს პროკურორების დატვირთულობის შეფასებაც, რაც აუცილებელი მექანიზმია დეპარტამენტის გამართულად მუშაობისათვის. თუმცა, პრობლემურია ის საკითხი, რომ, ამ შემთხვევაშიც, არ არსებობს რაიმე სახელმძღვანელო დოკუმენტი/მეთოდოლოგია ან გენერალური პროკურორის ბრძანება, რაც საჭიროა მეორე ინდიკატორით განსაზღვრული ამოცანების სრულად მიღწევის ხელშეწყობისათვის. შესაბამისად, აუცილებელია შესაბამისი რეგულირებული სისტემის შემუშავება. 2018 წლის მდგომარეობით, არცერთი ინდიკატორი არ მიუთითებს სამართალწარმოების პროცესში ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლასთან დაკავშირებით დასახული ამოცანის სრულად მიღწევაზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მექანიზმი ნაწილობრივ შესრულებელად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ დღემდე მნიშვნელოვანი გამოწვევაა წამებისა და არასათანადო მოპყრობის, აგრეთვე სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება და სავარაუდო დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნა. ამასთან, ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისთვის, აუცილებელია განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე სპეციალიზებულ პროკურორთა და გამომძიებელთა მუშაობა, რაც კვლევის შედგებზე დაყრდნობით, კვლავ პრობლემაა.

[12] იხ. საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 25 ნოემბრის #13/65991 წერილი, ადამიანის უფლებათა ცენტრს.
[13] მთავარი პროკურატურის 2018 წლის 28 თებერვლის N13/14840 წერილი.

საქმეთა წარმოებაში მიღების კრიტერიუმთა ბუნდოვანება

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2018 წელს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, მკვლევრები სხვადასხვა მიმართულებით სწავლობდნენ დეპარტამენტის საქმიანობას და ავლენდნენ პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებს. კვლევის შედეგები, გარდა საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა შესწავლისა, ასევე დაეფუძნა დარგის სპეციალისტებთან ინტერვიუებსა და ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არსებული საქმეების შესწავლას.

კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიგნება ახალი დეპარტამენტის საქმიანობის მომწესრიგებელი აქტების სიცხადისა და კონკრეტულობის პრობლემა იყო, რაც თავის მხრივ, ამ პროცესისადმი ნდობაზეც უარყოფითად აისახებოდა.

შესაბამისად, სხვა რეკომენდაციებთან ერთად, ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებდა მთავარ პროკურატურას სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის საქმიანობის სფეროში შემავალ საქმეთა კატეგორიების დაკონკრეტებას და საქმეთა შერჩევის კრიტერიუმების დოკუმენტის (სახელმძღვანელოს) სახით შემუშავებას. ასევე, მოუწოდებდა დეპარტამენტს საქმის წარმოებაში მიღების ან არმიღების წინაპირობათა წინასწარ გაწერისკენ, რასაც პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალეობისთვის უნდა შეეწყო ხელი და გამოერიცხა დეტარტამენტის საქმიანობის მიკერძოებულობა და არაობიექტურობა.

რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობის ფონზე, საქმის წარმოებაში მიღებისას დეპარტამენტი კვლავ სსსკ-ის 110-ე მუხლის ზოგადი წესებით ხელმძღვანელობს, რაც, დეპარტამენტის მანდატის გათვალისწინებით, ვერ აკმაყოფილებს განჭვრეტადობის სტანდარტს.

ამდენად, კვლავ უპასუხოდ რჩება ობიექტური დამკვირვებლის კითხვა - რამდენად მიუკერძოებელია საქმეთა შერჩევის პროცესი იმ პირობებში, როცა საქმეთა მიღების კრიტერიუმები წინასწარ წერილობით არაა გაწერილი და საქმის წარმოებაში მიღება დამოკიდებულია მხოლოდ ზოგად პრინციპებზე. ამასთან, საქმის მიღების კონკრეტული კრიტერიუმების არარსებობა ვერ გამორიცხავს დაზარალებულისთვის დაუსაბუთებელ უარს ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვაზე.

პროკურორის დადგენილების გამოყენების ტენდენციები წლების მიხედვით

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით[14], დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად, 2016 - 2019 წელს, სულ 71 პირის მიმართ იქნა მიღებული დადგენილება - მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ. 2017 წლის შემდგომ ეს მაჩვენებელი მუდმივად კლებადია, 2019 წელს კი, ეს უკანასკნელი ყველაზე დაბალი იყო.

მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ დადგენილებას დეპარტამენტი იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულთა მსჯავრდების საქმეებზე

[14] იხ. საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 25 ნოემბრის #13/65991 წერილი, ადამიანის უფლებათა ცენტრს.

ხელახალი გამოძიების ფარგლებში.



ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2018 წლის კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ აღნიშნული დადგენილებები სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულთა მსჯავრდების საქმეებზე მიიღება, ადამიანის უფლებების დარღვევის დადასტურებული ფაქტის არსებობისას. დადგენილებები ეხება როგორც ადამიანისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ, ისე სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ სამოხელეო, საფინანსო და სხვა დანაშაულებს. ამ კუთხით, კონკრეტული დანაშაულის სახეები ან კატეგორიები კვლავაც არ პრეველირებს.

ამასთანავე, 2016-2019 წლებში, დადგენილებების დაახლოებით 54% მიღებულია 2017 წელს (71 დადგენილებიდან 38 დადგენილება). რაც შეეხება 2019 წლის მონაცემებს, ასეთი მხოლოდ 7 დადგენილებაა მიღებული (10%). მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ დადგენილებათა მიღების ტენდენცია დეპარტამენტის შექმნის შემდგომ მუდმივად კლებადია. იმ ფონზე კი, როცა უამრავი საქმე ჯერაც გამოუძიებელია, კვლავაც პასუხგაუცემელი რჩება კითხვა იმ კრიტერიუმების შესახებ, რითაც დეპარტამენტმა აღნიშნული 71 საქმე გამოარჩია.

არსებული სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის შედეგად, ცალსახად ჩანს ახალი დეპარტამენტის მიერ საქმის წარმოების პროცესში ადამიანის უფლებების არსებითი დარღვევის შესახებ დადგენილების გამოტანის კლების ტენდენცია. იმ ფონზე კი, როცა უფლებადარღვეული ადამიანები დეპარტამენტის შექმნის დღიდან ელოდებიან სამართლიანობის აღდგენას, დეპარტამენტის საქმიანობის გაუმჭვირვალობა და კრიტერიუმთა ბუნდოვანება, კიდევ უფრო ზრდის საზოგადოებაში არსებულ კითხვებს დეპრტამენტის მუშაობის ეფექტურობაზე.

იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება

„კანონიერებისა და სამართლიანობის“ აღდგენის პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად იმთავითვე განისაზღვრა დაზარალებულთათის უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნება.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 მაისის N1044 განკარგულებით[15] განისაზღვრა დაზარალებულ მოქალაქეთათვის უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საკითხი. *ამ კანონქვემდებარე აქტის მოქმედების სფეროში ექცევა დაზარალებულთათვის მხოლოდ იმ ქონების დაბრუნება, რომელიც გადაწყვეტილების მიღების მომენტში სახელმწიფო ბალანსზე ირიცხება.*

საქართველოს პროკურატურის მიერ 2020 წლის 15 მაისს საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი ყოველწლიური ანგარიშიდან[16] ირკვევა, რომ:

2015-2019 წლებში, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ გამოვლინდა ქონების იძულებით ჩამორთმევის 171 ფაქტი. დეპარტამენტის შექმნიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე დაზარალებულად ცნობილი 335 პირიდან, 256 პირს, პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დაუბრუნა დაახლოებით 53,500,000 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დაუბრუნა დაახლოებით 53,500,000 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება. მათ შორის:
133 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით დაახლოებით 2 560 000 მ2
6 საცხოვრებელი ბინა
2 აგარაკი
საოფისე და კომერციული ფართები
სს „ენგურის სამედიცინო კომპლექსი“
„აკურას“ ღვინის ქარხანა
გორში მდებარე სასტუმრო და საცურაო კომპლექსები
36 შოვის პანსიონატის ტერიტორია
2 თვითმფრინავი და 13 შვეულმფრენი
80 ერთეული ავტომანქანა
ოქროს ნაკეთობები
ფიროსმანის ფერწერული ტილო
ანტიკვარული წიგნი და სხვა ქონებები.

[15] იხ. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 მაისის N1044 განკარგულება: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2858361

[16] იხ. საქართველოს პროკურატურა -საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 15 მაისის № 13/25416 “ საქართველოს პროკურატურის 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში”, გვ. 35-37 http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136661/1-6475_prokuratura_angarishi

გარდა სახელმწიფოს ბალანსზე არსებული ქონებისა, რამდენადაც დანაშაულის ჩადენის მომენტიდან დიდი დრო არის გასული, მნიშვნელოვანია ისეთი შემთხვევების შესწავლა, როდესაც კონკრეტულ უძრავ-მოძრავ ქონებას ჰყავს კეთილსინდისიერი შემძენი და ის არ არის სახელმწიფო ბალანსზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2018 წელს განხორციელებული კვლევის ფარგლებში პროკურატურისგან მიღებული საჯარო ინფორმაციაზე[17] დაყრდნობით, ისეთ შემთხვევებში, როდესაც უკანონოდ ჩამორთმეული ქონება სახელმწიფო ბალანსზე არ იმყოფება და მას ჰყავს კეთილსინდისიერი შემძენი ან ამორტიზებულია, დაზარალებული მოქალაქე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს სასამართლოს მეშვეობით - ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების გზით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების სტატისტიკა, რომელიც პროკურატურის ყოველწლიურ ანგარიშშია ასახული, განხორციელდა მხოლოდ სახელმწიფოს ბალანსზე არსებული უძრავი და მოძრავი ქონებიდან. ასეთ შემთხვევებში კი, რადგან სახელმწიფო სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე უბრუნებს დაზარალებულს იძულებით ჩამორთმეულ ქონებას, სავარაუდო უფლებადარღვეულ პირებს არ სჭირდებოდათ, სასამართლო გზით დაედასტურებინათ ქონების იძულებით ჩამორთმევის ფაქტი.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციით, სხვა სახის სტატისტიკა, რომელიც უფრო ფართო სურათს დაგვანახებდა და სამოქალაქო სასამართლოსთვის მიმართვიანობასა და მის შედეგებს წარმოაჩენდა, არ იწარმოება. მეტიც, 2018 წელს სასამართლოებიდან გამოთხოვილმა ინფორმაციამ ცხადყო, რომ მსგავსი ტიპის მიმართვიანობა იმ დროისთვის საერთოდ არ ფიქსირდებოდა.

ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს სახელმწიფოს პრაქტიკა, როცა კონკრეტული დანაშაულებრივი ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დაზარალებულისთვის ჩამორთმეული ქონების სახელმწიფო ბალანსზე არსებობისას, ხდება მისი გამარტივებული წესით დაბრუნება უფლებადარღვეული ადამიანებისთვის.

თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ დეპარტამენტის საქმიანობა არ შემოიფარგლოს ქონების უკანონოდ ჩამორთმევის მხოლოდ იმ საქმეების გამოძიებით, რა შემთხვევებშიც უკანონოდ ჩამორთმეული ქონება კვლავ სახელმწიფო ბალანსზე ირიცხება. სამწუხაროდ, არსებული ტენდენცია იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ დეპარტამენტის მიერ საქმეების გამოძიების ეფექტიანობა დაკავშირებულია იძულებით ჩამორთმეული ქონების სახელმწიფო საკუთრებაში არსებობასთან. აღნიშნული პრაქტიკა ვერ პასუხობს დეპარტამენტის შექმნის მიზნებს და უამრავი ადამიანის დარღვეულ უფლებას კვლავ შესაბამისი რეაგირების გარეშე ტოვებს.

[17] მთავარი პროკურატურის 2018 წლის 11 მაისის N13/35336 წერილი ადამიანის უფლებათა ცენტრს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არსებული საქმეები

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაშია რამდენიმე საქმე, რომლებზეც უფლებადარღვეული ადამიანები წლებია, მოითხოვენ, ახალი დეპარტამენტის საქმიანობის ფარგლებში, მოხდეს მათ მიმართ განხორციელებული დანაშაულების გამო დაზარალებულად ცნობა და მათი საქმეების გამოძიება, ასევე - იძულებით/მოტყუებით ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნება, რაც ახალი დეპარტამენტის შექმნის მიზანი და საქმიანობის ერთადერთი მიმართულებაა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არსებული ზოგიერთი საქმე წარმატებით დასრულდა. მნიშვნელოვანია, რომ სხვა საქმეებზე, მიუხედავად საქმის ფაქტობრივი გარემოებების იგივეობისა ან/და თანხვედრისა, ამასთან საქმის მიღების კონკრეტული გარემოებების არსებობისა, უფლებადარღვეულ ადამიანებს, დაუსაბუთებლად ეთქვათ უარი დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე, ასევე, ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის გადასინჯვაზე. ეს საქმეები ეხება ქონების უკანონოდ ჩამორთმევისა და ძალადობის ფაქტებს, რომლებიც, იმავდროულად, მოიცავს ცემა-წამებას, არაადამიანურ ან/და დამამცირებელ მოპყრობას, იძულებას და ყველა იმ დანაშაულს, რომლის ჩადენაშიც საჯარო მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი იმხილება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ასეთი დანაშაულების შემცველ საქმეებს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი ახალი დეპარტამენტის საქმიანობის ფარგლებში, ცენტრის სამართალწარმოებაში არსებული საქმეების შემთხვევაში, არაერთხელ მიმართვის მიუხედავად, დეპარტამენტი არ უზრუნველყოფს ეფექტიან, დროულ გამოძიებას და უფლებადარღვეული ადამიანებისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას. კონკრეტულ საქმეებზე დადებითი შედეგის დადგომა კი კითხვებს აჩენს. კერძოდ, ბუნდოვანია, რა კრიტერიუმების საფუძველზე და საქმის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის დასაბუთებისათვის საჭირო საფუძვლების გამოყენებით ხდება უფლებადარღვეული ადამიანებისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასა და დარღვეული უფლების აღდგენაზე უარის თქმა.

სწორედ ამიტომ, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შექმნამდე, საზოგადოების ნაწილი და, მათ შორის, ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები მართლმსაჯულების ხარვეზების გამომსწორებელი ორგანოს შექმნას პროკურატურის მიღმა უჭერდნენ მხარს. ამის მიზეზი ის იყო, რომ მართლმსაჯულების სისტემის შიგნით არსებულ უამრავ პრობლემათა მიზეზი, რომელიც ხარვეზების გამოსწორებას საჭიროებდა, სწორედ პროკურატურა იყო. იმავე აზრს იზიარებდნენ იმდროინდელი უმაღლესი თანამდებობის პირებიც, რომლებიც საკუთარ საჯარო განცხადებებში ხშირად აპელირებდნენ, რომ მართლმსაჯულების სისტემაში წარსულში არსებული პრობლემების საფუძველი პროკურატურის სისტემიდან მომდინარეობდა, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი ახორციელებდა ზეწოლას სასამართლო ხელისუფლებაზე.

აქედან გამომდინარე, მართლმსაჯულების ხარვეზების შესახებ განცხადებების თავად პროკურატურის სისტემაში შემავალი უწყების მიერ განხილვა, საზოგადოების ნაწილისათვის, თავიდანვე განიხილებოდა პრობლემის მოგვარების არაეფექტურ მექანიზმად.

ამ სკეპტიციზმს ამყარებდა ის ფაქტი, რომ საქართველოს პროკურატურის სისტემაში დეპარტამენტის შექმნისას დასაქმებულ პირთა უმრავლესობა ამ სისტემაში 2012 წლამდეც მუშაობდა. 2015 წლის მონაცემებით, იმ დროისათვის პროკურატურის ორგანოებში დასაქმებული 814 მუშაკიდან, 2012 წლის 1-ლ ოქტომბრამდე დანიშნული იყო 558 პირი, ამათგან 319 პროკურორი.

2012 წლის 1-ლი ოქტომბრის შემდგომ კი, უწყებაში დასაქმებულთა ოდენობა 256 იყო, რომელთაგან 127 იყო პროკურორი.

ქვემოთ განვიხილავთ ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართალწარმოებაში არსებულ შემდეგ 4 საქმეს:

1. დავით ადეიშვილის საქმე

დავით ადეიშვილი იყო შპს „ლეონის“ 50% წილის მფლობელი და ამავე კომპანიის დირექტორი. კომპანია ეწეოდა საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებელი რამდენიმე მოწინავე სავაჭრო კომპანიის (SONY, YAMAHA) საქონლის იმპორტსა და დისტრიბუციას. კომპანიის წლიური ბრუნვა შეადგენდა დაახლოებით 3 მლნ აშშ დოლარს. 2009 წლის 20 აგვისტოს გვიან ღამით, დავით ადეიშვილის საცხოვრებელ სახლში მივიდნენ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსხურის ფინანსური პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც მას სთხოვეს ფინანსურ პოლიციაში გაყოლა. მისვლისთანავე ადეიშვილი დაკითხეს და ბრალად წაუყენეს თაღლითობა, ხოლო შემდგომ - კრედიტის მოტყუებით მიღება (სსკ-ის 208-ე მუხლი). ფინანსურმაპოლიციამ, თაღლითურად, მოტყუების გზით, დავით ადეიშვილის ბიზნესპარტნიორის - ე.ე.-ს დახმარებით, რომელიც აღმოჩნდა ფინანსური პოლიციის იმჟამინდელი ხელმძღვანელის ნათესავი, მოტყუებით გადაიფორმა შპს „ლეონის“ 100% წილი. დავით ადეიშვილი, რომელსაც ბრალი დასდეს თაღლითობაში, თავად აღმოჩნდა ფინანსური პოლიციისა და პროკურატურის მხრიდან თაღლითობის მსხვერპლი. წაყენებული ბრალდებები აბსურდული იყო თავიდანვე, საქმეში არ მოიპოვებოდა არათუ პირდაპირი, ირიბი მტკიცებულებაც კი. მთელი 9 თვის განმავლობაში დავით ადეიშვილი არ აღიარებდა წაყენებულ ბრალს. ამის გამო, მასთან №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შევიდა ორი პირი, რომლებიც დაემუქრენ მას, რომ თუ არ მოაწერდა ხელს საპროცესო შეთანხმებას, მის ორ ვაჟს შეუქმნიდნენ პრობლემებს. საგამოძიებო ორგანოს მხრიდან დავით ადეიშვილის მიმართ წარმართულ უკანონო საგამოძიებო მოქმედებებს ხელმძღვანელობდა საქმის გამომძიებელი პროკურორი, ირაკლი შოთაძე, რომელიც შემდგომში დაინიშნა საქართველოს მთავარ პროკურორად. მუქარა დავით ადეიშვილმა აღიქვა რეალურად, რის შემდეგაც მოაწერა ხელი საპროცესო შეთანხმებას და გადაიხადა ჯარიმა 30 000 ლარის ოდენობით. 2013 წლის 5 თებერვალს, დავით ადეიშვილის განცხადების საფუძველზე, ქ. თბილისის პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №010050413803 საქმეზე - საქმის გამოძიებისას საგამოძიებო მოხელეთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილით. პროკურატურაში 5 წელია, მიმდინარეობს გამოძიება, მაგრამ დღემდე არავინ მიუციათ პასუხისგებაში.

მოცემულ საქმეზე, მთავარმა პროკურატურამ დავით ადეიშვილს უარი განუცხადა დაზარალებულად ცნობაზე. ადამიანის უფლებათა ცენტრმა არაერთხელ მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, მომხდარიყო დავით ადეიშვილის განმეორებით დაკითხვა[18]. ასევე, ცენტრმა მიმართა მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციასაც, მაგრამ ორგანიზაციის მიერ გაგზავნილი ყველა წერილი უპასუხოდ დარჩა. ამასთან, წერილი გაიგზავნა საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინპექციის უფროსის, ბაკურ აბულაძის სახელზე, მაგრამ ორგანიზაციას, ამ შემთხვევაშიც, პასუხი დღემდე არ მიუღია.

იმის გათვალისწინებით, რომ 2019 წლის იანვრის თვეში დავით ადეიშვილს, სასამართლოს

[18] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის საჯარო მიმართვა - **მთავარმა პროკურატურამ გამოიძიოს ყოფილი მთავარი პროკურორის სავარაუდო მონაწილეობა ბიზნესმენის ქონების იძულებით დათმობის პროცესში**: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19728&lang=geo

განჩინებით, საბოლოოდ ეთქვა უარი დაზარალებულად ცნობაზე და გამოძიება დღემდე არაეფექტურად გრძელდება, ადამიანის უფლებათა ცენტრმა დარღვეული უფლებების აღსადგენად საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს[19].

ადამიანის უფლებათა ცენტრი დღემდე მოითხოვს, პროკურატურამ დავით ადეიშვილი ცნოს დაზარალებულად, ხოლო მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გამოძიება წარიმართოს ეფექტიანად, რათა პასუხისგებაში დროულად მიეცნენ დამნაშავე პირები. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, საგამოძიებო ორგანომ გამოკვეთოს ყოფილი მთავარი პროკურორის, ირაკლი შოთაძის პასუხისმგებლობა, როგორც უშუალოდ დავით ადეიშვილის მიმართ ჩადენილი დანაშაულში, ისე შემდგომში ამ დანაშაულის გამოძიების გაჭიანურების გამო.

2. ბაკურ კილურაძის საქმე

ბიზნესმენი ბაკურ კილურაძე სამართალდამცავებმა 2010 წლის 13 ივლისს დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2011 წლის 7 მარტის განაჩენით, იგი დამნაშავედ სცნო სსკ-ს 314-ე მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის - ჯაშუშობის საფუძველზე და 9-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. განაჩენი უცვლელად დატოვა ყველა ზემდგომმა ინსტანციამ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინფორმაცია ბაკურ კილურაძის შესახებ დაკავებიდან სამი თვის შემდეგ გაავრცელა – 2010 წლის 5 ნოემბერს, როცა საზოგადოებას ოპერაცია „ენვერის“ შესახებ შეატყობინა. ამ დღეს სამინისტრომ მოსახლეობას 15 პირის შესახებ ამცნო, რომელთაც ბრალი ჯაშუშობაში ედებოდათ. მათ შორის იყო ბაკურ კილურაძეც. სამართალდამცავებს არ უთქვამთ, რომ ის რამდენიმე თვით ადრე დააკავეს. ამასთან, როგორც ოჯახი კილურაძის ადვოკატზე დაყრდნობით ამბობს, კილურაძის საქმეს ოპერაცია „ენვერთან“ შეხება არ ჰქონია. „ენვერის საქმის“ მონაწილეების თაობაზე არც ბაკურ კილურაძის მიმართ გამოტანილ სასამართლო განაჩენშია რამე ნახსენები.

საქართველოს პარლამენტის მიერ პოლიტპატიმრად აღიარებული ბაკურ კილურაძე 2018 წლის ივნისში თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაამართლა. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, გაუქმდა ბაკურ კილურაძის მიმართ 2011 წლის 7 მარტს დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენი და საქმეზე დადგა ახალი გამამართლებელი განაჩენი. სასამართლოში ბაკურ კილურაძის სამართლებრივ ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი იცავდა.

ბაკურ კილურაძის საქმეზე პროკურატურის ახალმა დეპარტამენტმა ჩაატარა ხელახალი გამოძიება, რის შემდეგაც საქმის გადასინჯვის შესახებ შუადმგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს[20]. სააპელაციო სასამართლოს განაჩენით დადგინდა, რომ ბაკურ კილურაძის საქმეზე გამოტანილი განაჩენი მიღებული იყო ყალბი და უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, შესაბამისად, ბაკურ კილურაძის მიმართ მიღებულ იქნა ახალი გამამართლებელი განაჩენი.

ადამიანის უფლებათა ცენტრი დადებითად აფასებს ახალი დეპარტამენტის მიერ ამ საქმეზე გაწეულ შრომასა და შედეგად ბაკურ კილურაძის მიმართ მართლმსაჯულების აღდგენას. ამასთან, ცენტრი მიიჩნევს, რომ იმ საქმეებში, რომლებშიც საკმარისი მტკიცებულებები და ცხადი ფაქტობრივი გარემოებები არსებობს კონკრეტულ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების შესახებ, ახალმა დეპარტამენტმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს სამართლებრივი რეაგირება და მართლმსაჯულების აღდგენის პროცესი. დროულობისა და საქმეთა წარმოებაში მიღებისათვის

[19] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის პრესრელიზი: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19862&lang=geo
[20] იხ. ინფორმაცია: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19147&lang=geo

გონივრული ვადის დაცვა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ხანგრძლივი დროის გასვლასთან ერთად, საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და შესაბამისი მტკიცებულებებების მოპოვების შანსები მაქსიმალურად მცირდება, რაც შედეგად უფლებადარღვეული ადამიანებისთვის სამართლიანობის აღდგენის მიზნის მიღწევას, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის.

თუმცა, აღნიშნული საქმის მსგავს სხვა საქმეების წარმოებაში მიღების შესახებ ახალი დეპარტმაენტის უარი ნათლად წარმოაჩენს პრობლემის აქტუალობას, თუ რა კონკრეტული კრიტერიუმებით ხდება საქმეების მიღება და გადანაწილება, როდესაც სხვა უფლებადარღვეული ადამიანების საქმეებზე, არ ხდება მსხვერპლების დაზარალებულად ცნობა და მათი საქმეების გადასინჯვა.

კრიტერიუმთა არარსებობასა და აბსტრაქტულ მიდგომაზე ადამიანის უფლებათა ცენტრი ყურადღებას ამახვილებდა 2018 წელს ჩატარებულ კვლევაშიც, რომელშიც ცენტრმა მთავარ პროკურატურას სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის საქმიანობის სფეროში შემავალი განსაზღვრულ საქმეთა კატეგორიების დაკონკრეტებისა და საქმეთა შერჩევის კრიტერიუმების, დოკუმენტის (სახელმძღვანელოს) სახით შემუშავებისაკენ მოუწოდა. თუმცა, ეს პრობლემა დღემდე გადაუჭრელია, რაც ხელს უშლის მართლმსაჯულების აღდგენას და იწვევს მსხვერპლთა სამართლიან კრიტიკას, ახალი დეპარტამენტის საქმიანობის არაეფექტიანობის მიმართ და ეჭვებს - საქმეთა სამართალწარმოებაში მიღებისას, შერჩევითი სამართლის ნიშნების არსებობის შესახებ.

3. ვახტანგ მაისაიას საქმე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტიკის პროფესორი და სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია 2010 წლის იანვარში გაასამართლეს. მას ბრალად ჯაშუშობა ედებოდა - საქართველოს სახელმწიფოს საიდუმლოების შემცველი ცნობების, მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვება, შენახვა და გადაცემა. ასევე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს ნატოს სპეცსამსახურებისთვის *(საქმის მასალებში და ასევე განაჩენშიც ფიქსირებულია: სლოვაკეთს რესპუბლიკის სამხედრო დაზვერვა, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო (აშშ) და ა.შ.),* დავალებით მათთვის საქართველოს სახელმწიფოს საიდუმლო ინფორმაციის გადაცემა *(თუმცა, ამ დოკუმენტების მიხედვითაც კი, ძალიან ბუნდოვანია, თუ რომელ ამ სპეცსამსახურზე იყო დადანაშაულებული ვახტანგ მაისაია და მტკიცებულებების კუთხით, მხოლოდ არის თანდართული სასუვენირო წიგნაკი, სადაც დაფიქსირებულია „საბჭოთა სუკი“).* ეს გარემოება საქმის დეტალების ნაწილობრივ გასაჯაროვების შემდეგ წარმოჩინდა, რომელსაც მანამდე ქართული სპეცსამსახურები მალავდნენ. მაისაიას 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 2013 წლის იანვარში ვახტანგ მაისაია პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლდა.

ყოფილი პოლიტპატიმრის, ვახტანგ მაისაიას უკანონო მსჯავრდების საქმეზე ახალ დეპარტამენტში გამოძიება 2013 წლიდან მიმდინარეობს. პროკურატურას ამ ეტაპამდე არ ჰყავს ვახტანგ მაისაია დაზარალებულად ცნობილი და არ მიუმართავს სასამართლოსთვის მის მიმართ დამდგარი უკანონო გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით. ადვოკატის განცხადებებზე ახალი დეპარტამენტი 2013 წლიდან პასუხობს, რომ მიმდინარეობს გამოძიება. ჯაშუშობის ბრალდებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმის მასალებს გრიფი „საიდუმლო“ ადევს. ეს კი არსებითად ართულებს ყოფილი პოლიტიკური პატიმრის

სამართლებრივ რეაბილიტაციას[21]. ასევე, კონტრდაზვერვის და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა მიერ ვახტანგ მაისაიას მიმართ 2009-2012 წლებში განხორციელებულ წამებასა და არაადამიანური მოპყრობის, აღიარებითი ჩვენების იძულებით ჩამორთმევის, პენიტენციურ დაწესებულებაში მისი ლიკვიდიაციის მცდელობის ფაქტზე გამოძიებას ახორციელებს ქ. თბილისის პროკურატურა. გამოძიება მიმდინარეობს 2013 წლიდან, მაგრამ ჯერჯერობით ვახტანგ მაისაიას საქმეზე შედეგი არ დამდგარა. ამ საქმეზეც საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური დღემდე არ აწვდის მთავარ პროკურატურას კანონით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

4. ე. წ. ყინწვისის საქმე

2011 წლის 26 მაისს, დილით ყინწვისის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე შსს-ს თანამშრომლებმა 24-კაციანი დაჯგუფება დააკავეს. დაკავების მიზეზად დასახელდა შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების შესაცვლელად. სპეცოპერაცია ფართოდ გაშუქდა ტელევიზიებით და გავრცელდა თითქოსდა სპეცოპერაციის დროს ამოღებული იარაღის ვიდეოკადრები. შსს-ს მაღალჩინოსნები სიუჟეტებში აცხადებდნენ, რომ დაკავებულები ამზადებდნენ შეიარაღებულ სახელმწიფო გადატრიალებას. შეშფოთებას იწვევს „ყინწვისის საქმის“ შემდგომი განვითარება. კერძოდ, ყინწვისის სპეცოპერაციის შესახებ შსს-ს საიტზე – www.police.ge თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2011 წლის 26 მაისს შსს-ს თანამშრომლებმა ყინწვისში დააკავეს შეიარაღებული დაჯგუფება 24 კაცის შემადგენლობით და ბრალდებულებმა დაკავებისას პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს… შემდგომ ასეთი შინაარსის ინფორმაცია შსს-ს საიტზე აღარ იდო, ხოლო პროკურატურა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, საერთოდ უარყოფს ყინწვისის სპეცოპერაციას. ბრალდებულთა სასამართლო პროცესზე პროკურატურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყინწვისში არავითარი სპეცოპერაცია არ ყოფილა და ბრალდებულებიც არა ყინწვისში, არამედ თბილისში დააკავეს. ამ გარემოებითაც დადგა 24 პირზე გამამტყუნებელი განაჩენი, საიდანაც ოჯახის წევრების მიმართ მუქარისა და ფსიქოლოგიური ზემოქმედებით 22 პირთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, ხოლო 2 პირი სასამართლოზე არსებითი განხილვით გაასამართლეს. სისხლის სამართლის საქმის მასალებში „ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის“ ლიდერის, ნიკოლოზ გოგუაძისა და სხვა ბრალდებულების დაკავების ვადის ათვლა დაწყებულია არა ყინწვისში დაკავების მომენტიდან, არამედ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში მიყვანიდან. საქმის მასალების შესწავლისას იკვეთება, რომ სინამდვილეში ნიკოლოზ გოგუაძე და სხვა ბრალდებულები მართლაც ყინწვისში დააკავეს, ოღონდ სპეცოპერაცია სერიოზული დარღვევებით ჩატარდა – ისე, რომ ადგილზე არც შესაბამისი ოქმი და სხვა დოკუმენტაცია არ შეუდგენიათ. ეს საბუთები პოლიციამ მეორე დღეს – 27 მაისს თბილისში შეადგინა და სიტუაცია ისე წარმოაჩინა, თითქოს მათი დაკავება მოხდა ამ დროს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში. საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ 24 ადამიანი ყინწვისიდან თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში იძულებით კი არ მიიყვანეს, არამედ საკუთარი სურვილით მივიდა „მოწმის სტატუსით“.

თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულებს იარაღის მთელი არსენალი ჰქონდათ და შეიარაღებულ გადატრიალებას ამზადებდნენ. სასამართლოზე წარმოდგენილი საქმის მასალების მიხედვით კი, 24 დაკავებულს შორის იარაღი მხოლოდ ერთს, ამჟამად უკვე გასამართლებულ ყოფილ პოლიციელს, მიხეილ ცილიკაშვილს აღმოაჩნდა. იგი დაცვის სამსახურის წარმომადგენელი იყო და კანონმდებლობის თანახმად, ტაბელური იარაღის შენახვის უფლება ჰქონდა. სასამართლო პროცესზე საქმეში სხვა არანაირი იარაღი არ ფიგურირებდა.

[21] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის **მიმართვა ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებული პოლიტპატიმრების საქმეებზე გრიფის „საიდუმლო“ მოხსნის თაობაზე:** http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18625&lang=geo

პროკურატურამ სასამართლო პროცესზე პასუხი ვერ გასცა კითხვას: თუკი ბრალდებულებს იარაღი არ ჰქონდათ, როგორ აპირებდნენ შეიარაღებული გადატრიალების მოწყობას? დაკავებულებს აღენიშნებოდათ სხეულის მძიმე დაზიანებები, განსაკუთრებით – ნიკოლოზ გოგუაძეს, რომელიც იყო ნაცემი და ნაწამები. მათივე თქმით, ეს კარგად ჩანს იმ აღიარებით ვიდეოჩვენებაშიც, რომელიც ოპერატიულად გაავრცელეს ნაციონალურმა მაუწყებლებმა.

აღსანიშნია, რომ ნიკოლოზ გოგუაძეს 26 მაისის ღამის 12 საათიდან, 27 მაისის დილის 6:10 საათამდე ჰკითხავდნენ. 6:12 წუთზე კი გამომძიებელმა როგორც ბრალდებული, ისე დააკავა. მანამდე იმავე გამომძიებელმა თვითონვე დააფიქსირა, რომ დაკავებულს აღენიშნებოდა სისხლჩაქცევები სახესა და სხეულზე, ასევე – მენჯის დაზიანება. სასამართლო პროცესზე ნიკოლოზ გოგუაძის ადვოკატმა ბესარიონ ქარცივაძემ გამომძიებელს ჰკითხა, რატომ დაკითხა ასეთ მდგომარეობაში მყოფი პატიმარი. პასუხად მიიღო, რომ დაკითხვის პროცესში მას დაზიანებები არ ეტყობოდა. არადა, დაკითხვამდე ოქმში თავად აქვს დაფიქსირებული ეს დაზიანებები.

შემაშფოთებელია, რომ გოგუაძის გარდა, სხეულის დაზიანებები და წამების კვალი აღენიშნებოდათ სხვებსაც. საბოლოო ჯამში, გოგუაძისა და კეშელავას გარდა, ყველა დაკავებულმა პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა. თუმცა, ამის მიუხედავად, ადვოკატების თქმით, განსაკუთრებული შეღავათი არც ერთს არ უგრძვნია.

დამატებით სასჯელად პირობითი მსჯავრი ყველას შეეფარდა, ერთს - სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, უმრავლესობას კი - 4, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

2011 წლის 12 აგვისტოს ნიკოლოზ გოგუაძისა და ოლეგ კეშელავას სასამართლო პროცესიც დასრულდა. გოგუაძეს ორი ბრალდების – შეთქმულების მოწყობისა და იარაღის უკანონოდ ტარების საფუძველზე, 12 წლით პატიმრობა მიესაჯა, ოლეგ კეშელავას კი – 8 წლით. ნიკოლოზ გოგუაძე თავს დამნაშავედ არ ცნობს. საბოლოოდ, 24-ვე პიროვნება 2013 წლის იანვრის თვეში პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლდა.

საქმეზე საქართველოს გენერალური პროკურატურაში ორ დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება. ერთი დეპარტამენტი იძიებდა დაკავებულების მიმართ განხორციელებულ ცემა-წამებასთან დაკავშირებულ საქმეს, ხოლო ახალი დეპარტამენტი - უკანონო განაჩენის გადასინჯვაზე.

აღსანიშნავია რომ, 2020 წლის 27 ივნისს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე: „ნიკოლოზ გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ“. სასამართლომ საქართველოს ევროპული კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლის დარღვევა დაუდგინა, ვინაიდან მომჩივანი სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი გახდა და ამავდროულად, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ამ ფაქტზე ეფექტიანი და დროული გამოძიების ჩატარება.

მოცემულ საქმეში, ასევე, დადგინდა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა. სასამართლოს განმარტებით, გამოძიება, რომელიც 2011 წლის ივნისში დაიწყო, თითქმის 8 წლის შემდეგ კვლავ გრძელდებოდა. ამ პერიოდში საგამოძიებო ორგანოების მიერ წარმოებული გამოძიება რამდენიმეწლიანი სრული უმოქმედობით ხასიათდებოდა. კერძოდ, გამოძიების დაწყებიდან თითქმის 18 თვის განმავლობაში ერთადერთი მოქმედება, რაც საგამოძიებო ორგანოებმა განახორციელეს, მომჩივნის დაკითხვა იყო. 2012 წლის დეკემბერში საგამოძიებო ორგანოებმა განაახლეს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, მათ შორის დაკითხეს მოწმეები და მომჩივანი.

აღნიშნული ინტენსიური ფაზა 2013 წლის აპრილში დასრულდა და სამი წლის განმავლობაში,

2016 წლის მაისამდე, საგამოძიებო ორგანოები კვლავ უმოქმედოდ იყვნენ. 2016 წლის მაისში, საქმე მთავარ პროკურატურას გადაეცა, მაგრამ მიუხედავად ამისა, კვლავ გაგრძელდა უმოქმედობის პერიოდი შემდეგი 1 წლის განმავლობაში.

სახელმწიფომ ვერ შეძლო წარმოედგინა დამაჯერებელი არგუმენტი, თუ რით იყო გამოწვეული საგამოძიებო ორგანოების მხრიდან აღნიშნული უმოქმედობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ასევე, ხაზი გაუსვა გამოძიების ფარგლებში დაშვებულ ხარვეზებზე, კერძოდ - საგამოძიებო ორგანოებს არ ჩაუტარებიათ მომჩივნის სამედიცინო ექსპერტიზა, მიუხედავად იმისა, რომ დაკავების შემდეგ მას სხეულზე არაერთი დაზიანება აღენიშნებოდა; დღემდე არ მომხდარა იმ სპეცდანიშნულების ნაწილის იდენტიფიცირება, რომელმაც დაკავების სპეცოპერაცია განახორციელა, შესაბამისად, ყინწვისის სპეცოპერაციაში მონაწილე ერთი ოფიცერიც კი არ დაკითხულა; მომჩივნის არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება 8 წლის განმავლობაში გრძელდებოდა ისე, რომ საგამოძიებო ორგანოების მიერ ამ დრომდე ერთი პირის პასუხისმგებლობაც არ გამოკვეთილა.

ევროპულმა სასამართლომ საქართველოს მიყენებული მორალური ზიანისთვის მომჩივნის სასარგებლოდ 10000 ევროს გადახდა დააკისრა.

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში იდენტიფიცირებულია ყველა ის არსებითი მნიშვნელობის სამართლებრივი ხარვეზი, რამაც პირდაპირი ზეგავლენა იქონია ნიკოლოზ გოგუაძის წინააღდმეგ გამოტანილ გამამტყუნებელ, უკანონო განაჩენზე. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ევროსასამართლოს კომპეტენციას არ წარმოადგენს პირის მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის არსებობისა და ლეგიტიმაციის საკითხზე მსჯელობა (გამონაკლისი შემთხვევების გარდა), არამედ იგი მხოლოდ ამოწმებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სამართალწარმოების მექანიზმებით პირის მიერ შეუფერხებლად და სრულყოფილად სარგებლობას, ადგილობრივ დონეზე, სახელმწიფო ისევ ვალდებულია, ყოველმხრივ ობიექტურად და ეფექტიანად გამოიძიოს საქმე და შესაბამისი გადაწტვეტილებით დაამტკიცოს მსხვერპლის უდანაშაულობის საკითხი. კონკრეტულ შემთხვევაში პროკურატურის სისტემის შიგნით არსებული სამართალწარმოების პროცესში ჩდენილი დანაშაულების გამოძიების დეპარტამენტის შექმნის არსიც სწორედ მსგავსი საქმეების ხელახალი გამოძიება და უფლებადარღვეული ადამიანებისთვის მართლმსაჯულების აღდგენაა. შესაბამისად, ახალი დეპარტამენტი ვალდებულია, დაზარალებულად ცნოს ნიკოლოზ გოგუაძე, ჩაატაროს ხელახალი სრულყოფილი გამოძიება და დადგენილებით მიმართოს სააპელაციო სასამართლოს, შესაბამისი გადაწყვეტილებით უარყოს პირის მსჯავრდება და აღიაროს იგი უკანონოდ.

2015 წლიდან მოყოლებული პროკურატურის მხრიდან, არ ხდებოდა არცერთი პირისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება და არც სასამართლოსთვის მიუმართავს, მათ მიმართ დამდგარი უკანონო გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით.

საბოლოოდ, ე. წ. ყინწვისის საქმის ყოფილმა 12-მა პოლიტპატიმარმა 2018 წელს თვითონვე მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა და ახალი - გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. სააპელაციო სასამართლომ ყოფილი პოლიტპატიმრების შუამდგომლობების განხილვა დაიწყო, რაც ამ საქმეზე მართლმსაჯულების მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად შეიძლება შეფასდეს. ამავე დროს, ამ საქმეზე მართლმსაჯულების პარადოქსია, რომ სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი იყო პროკურატურის ახალი დეპარტამენტის პროკურორი, რომელიც პროცესის მიმდინარეობისას თვეების განმავლობაში მხარს უჭერდა ძველ ბრალდებას და განმარტავდა, რომ ელოდებოდა მოსამართლის გადაწყვეტილებას. ეს ფაქტი ერთგვარად

მიანიშნებს ინტერესთა კონფლიქტზე, როდესაც ერთი მხრივ ახალ დეპარტამენტში დაწყებულია გამოძიება ე. წ. ყინწვისის საქმის პოლიტპატიმრების განცხადების საფუძველზე და მეორე მხრივ, ახალი დეპარტამენტის პროკურორი სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე ბოლომდე იცავს ძველ ბრალდებას.

ადამიანის უფლებათა ცენტრი, რომელიც წარმოადგენს დაცვის მხარეს, სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას, წლების განმავლობაში, მოუწოდებდა პროკურატურას დაზარალებულის სტატუსი მიენიჭებინა არა მხოლოდ საქმის სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე პროცესის მონაწილე 12 ყოფილი პოლიტპატიმრისთვის, არამედ ამ საქმის 24-ვე ფიგურანტისთვის, რადგან ყველას მიმართ იკვეთება ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა თავდაპირველი სისხლის სამართლის გამოძიების ეტაპზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ეს მოწოდება საქართველოს პროკურატურამ ნაწილობრივ მხოლოდ მას შემდეგ გაითვალისწინა, რაც სააპელაციო სასამართლოში პროცესის შემაჯამებელ სხდომაზე მხარეებმა დასკვნითი სიტყვა წარუდგინეს სასამართლოს და ცხადი გახდა, რომ სამართლიანი სასამართლოს პირობებში, პროკურატურა ამ პროცესს წააგებდა. შესაბამისად, დაცვის მხარის ადვოკატის - ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტის მიერ მიერ წარდგენილი დასკვნითი სიტყვის (2020 წ. ნოემბერი) შემდგომ, პროკურატურამ ამ პროცესის მონაწილე 12 პირს მიანიჭა დაზარალებულის სტატუსი და უარი თქვა სასამართლოში ძველი ბრალდების მხარდაჭერაზე.

გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა სააპელაციო სასამართლოში 12 ყოფილი პატიმრის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემდეგ გააქტიურა ე. წ. ყინწვისის საქმის გამოძიება. საქმის ფიგურანტი 12 ყოფილი პოლიტპატიმრისთვის ამ ეტაპზე დაზარალებულის სტატუსის მინიჭება დაგვიანებული, მაგრამ მათი სამართლებრივი რეაბილიტაციისთვის სასარგებლო შედეგია. ამავე დროს, ადამიანის უფლებათა ცენტრი კვლავ მიმართავს დეპარტამენტს, რომ საქმეზე გასამართლებული სხვა 12 პირსაც მიანიჭოს დაზარალებულის სტატუსი, ასევე - დროულად და ეფექტიანად წარმართოს გამოძიება, რაც ერთი მხრივ, ნიშნავს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგებას, მეორე მხრივ კი სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის მონაწილეთა გამოვლენას და პასუხისგებაში მიცემას.

დასკვნა

გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის საქმიანობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2018 წლის კვლევისას იდენტიფიცირებულ პრობლემათა აბსოლუტური უმრავლესობა კვლავ აქტუალურია, რეკომენდაციები კი - შეუსრულებელი.

ახალი გამოძიების დაწყების მაჩვენებელი კვლავ დაბალია და არ პასუხობს უფლებადარღვეული ადამიანებისთვის სამართლიანობის აღდგენისთვის საჭიროებებს, რისი მიზეზიც კვლავ სახელმძღვანელო პრინციპებისა და კონკრეტული კრიტერიუმების არარსებობაა. ეს კი რეალურად აფერხებს შესაძლო დაზარალებულთათვის უფლებების აღდგენის პროცესს. ამასთან, საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია კრიტერიუმები, რომელთა დაყრდნობითაც ხდება საქმეთა შერჩევა, რაც დეპარტამენტის საქმიანობის ტენდენციურობასთან დაკავშირებით არსებულ კითხვებს კვლავ უპასუხოდ ტოვებს. დროის გასვლასთან ერთად კი სულ უფრო ბუნდოვანი ხდება

უფლებადარღვეული ადამიანისებისთვის სამართლიანობის აღდგენის პერსპექტივა.

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო რეგულირებით დეპარტამენტის საქმიანობა არ არის კონკრეტული დროით შემოსაზღვრული, საქმეების 100% კვლავ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე სამართალწარმოების პროცესის დროს ჩადენილი დანაშაულებების გამოძიებით შემოიფარგლება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პრობლემას წარომადგენს დეპარტამენტის საქმიანობის ეფექტიანობა, საქართველოს გენერალური პროკურატურის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში, რაც იმით გამოიხატება, რომ კვლავ გამოწვევად რჩება განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე სპეციალიზებულ პროკურორთა და გამომძიებელთა არარსებობა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი კვლავ რჩება აქტიური მხარდამჭერი სახელმწიფოს მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯის, რომელიც მართლმსაჯულების ხარვეზების აღმოფხვრას ისახავს მიზნად და, ამავდროულად, ხელს შეუწყობს უფლებადარღვეული ადამიანების უფლებების მაღალი სტანდარტით დაცვასა და სამართლიანობის აღდგენას. ამ მიზნის მიღწევისთვის კი, აუცილებელია შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

რეკომენდაციები

- ✓ დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, საგამოძიებო და სისხლის სამართლის დევნის ორგანო გაემიჯნოს პოლიტიკურ პროცესებს და არ დაუშვას სუბიექტური, არაერთგვაროვანი მიდგომები კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით;
- ✓ პროკურატურის სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის დაგეგმვა განხორციელდეს სხვადასხვა უწყებას შორის კოორდინირებითა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობით. სტრატეგია უნდა პასუხობდეს პროკურატურის წინაშე არსებულ ყველა გამოწვევას და უნდა იყოს მისი განხორციელებისთვის საჭირო ინდიკატორები უფრო განჭვრეტადი და კონკრეტული.
- ✓ აუცილებელია, დეპარტამენტის საქმიანობა შეესაბამებოდეს პროკურატურის ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შინაარსს და მისი განხორციელების შესახებ ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისთვის;
- ✓ გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის საქმიანობის სფეროში შემავალი განსაზღვრულ საქმეთა კატეგორიები დაკონკრეტდეს და საქმეთა შერჩევის კრიტერიუმები შემუშავდეს დოკუმენტის (სახელმძღვანელოს) სახით;
- ✓ დეპარტამენტმა მეტი ყურადღება დაუთმოს წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს. განისაზღვროს წინასწარ კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს ერთგვაროვან მიდგომას წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ყველა საქმეზე;
- ✓ საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწაროების პროცესში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების დეპარტამენტის საქმიანობა, კანონმდებლობის გვერდის ავლით, არ დავიწროვდეს დროში და დეპარტამენტმა გამოიძიოს 2012 წლის შემდგომი სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულებიც;
- ✓ უკანონოდ ჩამორთმეული ქონების საქმეების გამოძიება არ უნდა იყოს დამოკიდებული ჩამორთმეული ქონების სახელმწიფო ბალანზე არსებობაზე და ყველა

კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფომ უზრუნველყოს ხელახალი სრული და ობიექტური გამოძიება და დაზარალებულთა ჩამორთმეული ქონების ალტერნატიული საშუალების ანაზღაურება.